



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/886

10 / ივლისი / 2019 წ.



KA000010101557119

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანაყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანაყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N 669 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის სანაყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 24 დეკემბრის, N 21/58 დადგენილების შესაბამისად და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2017 წლის 29 ივნისის, N 15/44 განკარგულების და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 05 ივლისის, N 111 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული 2019 წლის 09 ივლისის, N9/151 აუდიტორული (სამემფასებლო) დასკვნის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მუხლი 1.** გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.745 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 314586.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (თანდართული სიტუაციური გეგმის შესაბამისად) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

**მუხლი 2.** სარგებლობაში (იჯარა) გადაცემის ვადად განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) თვე, სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

**მუხლი 3.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე 04.02.12.745 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 314586.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 15 (თხუთმეტი) თვის სანაყისი ქირის საფასური განისაზღვროს 450.00 (ოთხასორმოცდაათი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 360.00 (სამასსამოცი) ლარით, ხოლო ბიკი განისაზღვროს 1050.00 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარით.

**მუხლი 4.** განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2019 წლის 11 ივლისის 15:00 საათიდან, 2019 წლის 16 ივლისის 15:00 საათამდე.

**მუხლი 5.** აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სახელშეკრულებო თანხის 50% გადაიხადოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხა ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე, რომელშიც გადახდილად ეთვლება მის მიერ „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა.

**მუხლი 6.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება.

**მუხლი 7.** თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22,

სახაზინო კოდი: 300423047 (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯაროდან და მართვაში).

**მუხლი 8.** წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge), რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

**მუხლი 9.** ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე [poti.gov.ge](http://poti.gov.ge).

**მუხლი 10.** წინამდებარე ბრძანების სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ზე განთავსება უზრუნველყოს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე [poti.gov.ge](http://poti.gov.ge)-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.


**მუხლი 11.** აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემ უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

**მუხლი 12.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 13.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

**მუხლი 14.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად 

გოჩა კურდღელია